წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 10 კ. ტელეფონი № 76. ოთხშაბათი 14 ივნისი 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლ. რად. 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
თვიურათ 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.
რედაქცია და კანტორა იმყოფება ტფილისის [illegible]
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდე, და საღამოს [illegible]
კვირა უქმე დღეების გარდა.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე სტრიქონი [illegible] 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების [illegible]
[illegible] 2 საათ. 5 მ.

№ 53 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 53

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი
8 ივნისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება
სამხედრო ქრონიკა
ნინა
მხატვრული დრამა. 4 ნაწ. ბარანცევიჩისა და რასბანოვისა.
კომიკური. **ძუნწი პრენსი.**

ანონსი: ხუთშაბათიდან 15 ივნისიდან ნაჩვენები იქნება
თავადის ქალი ლარისსა.
მხატვრ. დრამა 4 ნაწ. ბარანცევიჩისა და ქერუვიმოვის მონაწ.
ორი ტურფა სახუმარო ბ-ნ სკანდალინის მონაწ.
ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ელექტრო „ამპირ“ თეატრი
12 ივნისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება
მიმდინარე ამბების ქრონიკა და საგულისხმიერო პროგრამა
მეუღლე თუ დედა?
1-სერია, დრამა 4 ნაწ. მონაწ. გერმანოვისა და სხვა.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 15 ივნისიდან
შეურაცხყოფილი ვენერა
კინო-პოემა 5 ნაწ. (ციკლი: დიდება უგონობას) მარია რუტკისა და ხოხლოვის მონაწ.
ოლიას ვერ მოარჯულებთ! სახუმარო.
ყურადღება! ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრის განყოფილება!

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში ჩაწერა

შეიძლება ამავე პარტიის სალექციო დარბაზში (ვორონცოვის ქ. ოცხელის შენობა, ბაღის პირდაპირ) დილის 10—2 საათამდის და საღამოს 5—10 საათამდის და აგრეთვე
გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში
(თფილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახლი) დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეჟიმოვებისა.
ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.

დღეს 14 ივნისს 1917 წ. გაიმართება ატლეტიური წარმოდგენა, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობს ცირკის საუკეთესო მსახიობები. დღეს საუკეთესო პროგრამაა. დაიჩქარეთ ნახოთ, განთქმული ბელგიელთა დასი
5 კლიკეტი,
რომლებიც ამ მოკლე ხანში გაემგზავრებიან ქუთაისიდან. 25 დღეა ჩემპიონ ქალთა ფრანგული ჭიდაობა.
დღეს იჭიდავებს 4 წყვილი მეტად განთქმული მოჭიდავებისა.
1 კავკასიურად იჭიდავებს ბედაური და ზაალიშვილი. 2. ვახტურთვი და ივარი. 3. აზელკრუკი და სულეიმანი. 4. მანკო და რაბასტონი.
წარმოდგენის დასაწყისი 8 ნახევარ საათზე. ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.
ანონსი. მზადდება გრანდიოზული
ნ კლიკეტი

გამოცდილი მასწავლებელი
(სტუდენტი) ამზადებს მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისთვის.
ნახვა შეიძლება ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში დილის 11 საათიდან 3 ს.
თ—1

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს
ყოველ დღე დილის 10—2 საათ. და საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, გიტენშინის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

დღეს:

წერილები:

ვ. წერეთელი. ძირითადი პრინციპები ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა.
ი. იმერელი—ძირიდან.
სანტ.—ბოლშევიკები.
რ. ხ—ძე—პატარა ფელეტონი.
რ. მაჭარაშვილი—საჭირო შენიშვნა.

ცნობები:

საქართვ. ეროვნ.-დემ. პარტიის კონფერენცია. რევოლუციის ამბები. უცხოეთი. რუსეთი. მსოფლიო ომი. მოწერილი ამბები. ახალი ამბავი. უკანასკნელი ამბები.

ძირიდან.

სიტყვით და წერით აღვიარებთ, რომ დღევანდელმა მრისხანე ნგრევან ახალი ცხოვრება უნდა შეგვიქნას. სოულიად სრულიად საქართველოს ხალხი შესდგება ნამდვილ ეროვნულ შემოქმედების გზაზე, მწვავე წუთები, ძნელი განცდანი ბოლოს ტკბილ დღეებს გაათენებს. წარმოთქმული სიტყვები ყველას სიხარულს ჰგვრის. მაგრამ როდესაც კითხვა რეალად გადაჭრას მოითხოვს, პრაქტიკული შენება მოხდება მიუცილებელი, მაშინ ყველა საგონებელში ვარდებით რას ნიშნავს ეს?

წინანდელი უნიათობა აღარ გვცილდება 100 წლის განმავლობაში ჩვენ ჩვეულებათ გადაგვექცა ლამაზ სიტყვით შესრულება. ეს საზარი დალუპვის განმამზადი სენი დღესაც თან გვდევს. ქართველი თავის დროზე ვერ მოდის გონს, ვერ დგება კალაპოტში და ვერ ახერხებს კარგ სიტყვიდან კარგ საქმეზე გადასვლას. უეცრივ მოვარდნილმა ნიაღვარმა უამრავი საჭიროება, მრავალი მოთხოვნილება დაგვიყენა და ბევრი გაკვეთილი მოგვცა.

სხვა მწვავე კითხვათა შორის მომენტმა დიდ მნიშვნელობის კითხვად წარმოგვიდგინა ხალხისშეგნება და პრაქტიკული საქმიანობა.

როგორ უნდა გავიგოთ, რა არის ხალხის შეგნება?

რამდენიმე კვირის წინად სოფლის საზოგადოების ყრილობას დავესწარით. მშრომელი ხალხი ღრმა დაკვირვებით უსმენდა მოქალაქეს. ახლა იკითხავთ, რა დადგენილება გამოიტანა ყრილობამ, როგორი იყო საქართველოს მიწის მუშის სულის კვეთება? დაუგდეთ თვითონ გლეხს ყური „ავტონომია რომ მოვითხოვოთ, მაშინ ყაზახები აგვაწიოკებენ, რადგან ეგი რუსეთიდან ჩამოშორებას ნიშნავს, თუარა კაი დაგემართოს, კარგია თავისუფალი ცხოვრება“.

მეორე ამბობს ავტონომიის დროს ჩვენ და დაკეტილი ვიქნებით ვაჭრები აღარ შემოიტანენ საქონელს, პური დაგვაკლდება და შიმშილით დავიხოცებით. მესამე-ავტონომია ბატონყმობაა და რა ღმერთი გამიწყრება, რომ თავისუფლების გამარჯვების დროს, ისევ მჩაგვრელი ბატონი წამოვიკიდო ზურგზე. მე მინდა საკუთარი თავისუფლება საკუთარი ენა და ცხოვრება.

ამ სიტყვებში მთელი ტრაგედია. ქართველი გლეხი თავის ბუნებით ავტონომისტია მაგრამ შეუგნებლობით იძულებული ხდება მისთვის ძვირფას საფუძველს უარყოფით შეხვდეს ქართული პოლიტიკური პარტიები ამ უბედურებას ერთმანეთს აბრალებდენ: „არა შენ ხარ ბრალიანი ქართველ ხალხის ეროვნულ გრძნობის შერყვნაში და არა შენო“. მაგრამ რაც გუშინ მწარეთ გვაღონებდა, დღეს სიხარულით შეგვეცვალა. საქართველოს თავისუფლება როდია რომელიმე ცალკე პარტიის მოთხოვნილება. ამიერიდან მის მოსაპოვებლათ ფაქტიურათ იბრძვის ყველა ქართველი პოლიტიკური მიმდინარეობა პოლიტიკური პარტიები შესდგებიან უმეტესად ინტელიგენციისაგან პარტიული აზრი, შეგნება უმეტეს წილად არ უზიარდება მშრომელ ხალხს. პოლიტიკური პარტიები ადგენენ საქართველოს თვით აღორძინების პროექტს, ქართველ მშრომელ ხალხს კი ამდროს ნაკლებ მონაწილეობას ვაკუთვნებთ. ჩვენი მასსა, ჩვენი სიძლიერე სუსტია; რადგან არც ერთ კითხვისთვის ხალხი მომზადებული არა გვყავს. ძველმა დაწყევლილმა ხანამ ქართველ გლეხობას ანბანის ცოდნის საშვალებაც არ არგუნა თორემ პოლიტიკურ ცოდნას ვინ მისცემდა, ერთი საუკუნის ცხოვრება ქართველი ხალხისა მწარე გაჭირვებათა მოთხრობაა. შევიწროება ეროვნული გადასახადები აუტანელი, სიმშილი და სიღატაკე, —აი წარსულ საზარელ ცხოვრების დამახასიათებელი თვისებანი, დღეს რა გვმართებს?

მუშაობა ხალხში, საქმე და გარჯილობა.

ხალხის გამოფხიზლება, მის შემოქმედების გზაზე დაყენება **ძირიდან** უნდა დავიწყოთ. სოფელი ჩვენი სიცოცხლის მთავარი ძარღვია. მომავლისთვის გვჭირია სოფლის მშრომელთა ყოველ მხრივ გამაგრება ცოდნით აღჭურვა და მომზადება. ხალხი ავტონომიას უფრთხოდა; ჩვენი ვალია სასწრაფოთ მივიდეთ ხალხთან და განუმარტოთ, რომ ავტონომია, თვით მმართველობა, მის უკეთეს მომავლის საძირკველია. ქართველი გლეხი მოვამზადოთ საქვეყნო საქმეებისთვის.

ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა, ყველა ქართულმა პარტიებმა შეთანხმებით იმუშაონ ხალხის გასათვითცნობიერებლათ. ყველაზე დიდ სამსახურს ამ დიდ საქმეში სოფლის ინტელიგენცია გასწევს. ქართული გამოცემები სისტემატიურათ უნდა იკითხებოდეს ხალხში, რომ ხალხმა გაიგოს. სად რა ხდება და რას მოითხოვს მისი ერი.

თუ ხალხი არ გვყოლა საჭირო ნების ყოფით და სურვილით აღძრული, ისე ძნელია ჩვენს მომავალზე ზრუნვა და რეალ შედეგის მიღება.

ქართველი მოწინავე საზოგადოება ჯერ კიდევ ახალგაზდაა სხვადასხვა კითხვებში, გვიჭირს სოციალ პოლიტიკურ კითხვების და უთანხმოების გადაჭრა; მით უმეტეს ამ დროს უმწეო მდგომარეობაში გვყავს მშრომელი ხალხი. ხალხს ესმის თავისი საჭიროებანი, გრძნობს ტკივილებს, მაგრამ მისი საქმეების მოვლა და მოწესრიგება დღევანდელ პირობებში მარტო საკუთარ ძალღონით ვერ უხერხდება. მას სჭირია შეგნებულთა დახმარება, პირდაპირი განმარტება საჭიროებათა და მოთხოვნილებათა

ხალხის მდგომარეობას მისდა შესაფერ ზომით უნდა მოუაროთ. როგორც თან და თან ირკვევა, ერთ პარტიის მიერ მიწის სოციალიზაციის გამოცხადებამ ქართველ ხალხში ნიადაგი ვერ პოვა.

მომავალში უნდა ვერიდნეთ, რომ ჩვენს ხალხს ისეთი რამ არ მივაწოდოთ, რაც მის ცხოვრებას არ შეეფერება.

ვეზიაროთ ქართულ ცხოვრების ნამდვილი შეგნებას და შეუდგეთ მას რეალ მზრუნველობას.

ხალხის შეგნება, ეროვნული საქმიანობა ძირიდან დავიწყოთ!

ი. იმერელი.

მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. ივნისის 10 ოფიციალი. შმენდედამის გზით მთელ დღეს საარტილერიო სროლა გრძელდებოდა. საარტილერიო მოქმედება განსაკუთრებულს მწვავე ხასიათს ღებულობდა ფილენის „სამხრეთ-აღმოსავლეთ სექტორში, კრანისა და შევრის მიდამოებში. ქვეითა ჯარის მოქმედება არ ყოფილა. გერმანელები კვლავ რეიმსს უშენდენ. ჩამოაგდეს 1200 ყუმბარა. ფრონტის დანარჩენ ნაწილებში სიწყნარეა. მტერზე მოულოდნელმა თავდასხმამ საშუალება მოგვცა ტყვეები წამოგვეყვანა ჩრდილო გავრილიდან. ვარნეტონის მახლობლად მოვახდინეთ ოპერაცია. წამოვიყვანეთ ტყვეები. გერმანელების თავდასხმა მოვიგერიეთ. დიქსმიუდეს მახლობლად საარტილერიო მოქმედება გრძელდება.

პარიზი. ივნისის 11. ოფიციალი. საარტილერიო მოქმედებაა. გიურტებიზის მიდამოებში და კრანის სამხრეთით ჩვენმა ბატარეებმა აიძულეს გერმანელები სროლა შეეწყვიტათ. კორნილიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერი მოვიგერიეთ.

ლონდონი. ივნისის 11. ოფიციალი. არმანტიერის სამხრეთით ბრძოლის დროს წამოვიყვანეთ ტყვეები.

ლონდონი. ივნისის 11. ოფიციალი. მდ. სკარპის სამხრეთით ბრძოლის დროს წამოვიყვანეთ ტყვეები. კრუაზილ მასსინის მიდამოებში გერმანელების არტილერია ძლიერად მოქმედებდა.

იტალიის ასპარეზი.

რომი. ივნისის 11. ოფიციალი მტრის მზვერავთა რაზმი უკუვაქციეთ. ჩვენს ახლო პოზიციებს, გუშინ გერმანელები ძლიერად უშენდენ. აზიაგოს მთიანს ადგილებში მტერი დავაზარალეთ. წამოვიყვანეთ ტყვეები. წამოვიღეთ სამხედრო იარაღები. იულიის ალპების ფრონტზე ჩვენი ჯარი ძლიერად უშენდა სად. სანტანლიუჩიოს. ჩვენი ცეცხლი ხელს უშლიდა მტრის მოძრაობას.

მფრინავთა მოქმედება.

რომი. ივნისის 11 ოფიციალი. ალსობიცის მახლობლად მტრის ჰაეროპლანი ვაიძულეთ ძირს დაშვებულიყო. გერმანელების მეორე ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

„ბოლშევიკები“.

რუსეთის ცხოვრებას რისხვა რისხვაზე ევლინება. საბედისწერო მტრად რევოლუციას ლენინელები წარმოუდგენ.

ლენინის რაზმის ბოლშევიკები დღითი დღე ძლიერდებიან და ყველგან სადაც კი ფეხს ჩასდგამენ ორომტრიალს იწვევენ. უკანასკნელ ხანას, როგორც ამას დეპეშები გვაუწყებენ ქ. პეტროგრადი ჩავარდნილა საშიშ მდგომარეობაში. ბოლშევიკები ჯარის ნაწილებში მოწოდებებს ჰყრიან, ჯარს იარაღის დასაყრელად მოუწოდებენ, დროებითი მთავრობას სახელს უტეხენ, ბანკების და საფინანსო დაწესებულების ხელში ჩაგდებას სცდილობენ.

„ბოლშევიკებს“ წინ უსწრობენ ანარქისტები. ეს უკანასკნელნი პირდაპირ ექსპროპრიაციას ახდენენ, არბევენ აგარაკებს, იტაცებენ სხვის ქონებას, და ხელს უშლიან რევოლუციურ ორგანოების მოქმედებას.

ბოლშევიკები თვალში აფურთხებენ რევოლუციურ რუსეთს და მის შემოქმედებას. რუსეთმა ბეჯმან-ჰოლვეგის აგენტად ჩაითვალა ციმერვალდელთა კოლეგა გრიმმი და რუსეთიდან გააძევა. ამის გამო სასტიკად გაცხარდენ და ამხედრდენ „ბოლშევიკები“.

ფინეთის ქალაქი ჰელსინგფორსი ბოლშევიკებმა პროკლამაციებით [illegible]

პროკლამაციებს ბეჭდავენ სხვათა შორის გერმანულ ენაზე და ლაშქარს უბრძანებენ, გინდა თუ არა ზავი ჩამოაგდეო. ბოლშევიკები სიხარულით ხვდებიან ცალკე ქალაქების მიერ რესპუბლიკების გამოცხადებას და მათ ხელმძღვანელობას უწევენ რუსეთი უკიდურეს უხერხულ ყოფაში ვარდება. მდგომარეობა ძნელია.

ყველაზე მწვავე კითხვა რუსეთისთვის ომია.

რევოლუციურმა რუსეთმა ბრძოლის ველზე სამხედრო მოქმედება შეანელა. რევოლეციის განცდამ ჯარს ბრძოლის წყურვილი შეუსუსტა. მოკავშირე სახელმწიფონი კი ამდროს გაშმაგებით იბრძვიან და აცხადებენ, რომ ისინი საბოლოო გამარჯვებისთვის ომს განაგრძობენ, თუნდაც მათ რუსეთი არ დაეხმაროს.

რა უნდა ჰქნას რუსეთმა? რუსეთის აწმყო მდგომარეობისთვის ომის გაგრძობას ყოველგვარი აზრი ეკარგება, მაგრამ ცალკე ზავის ჩამოგდებაც უბედურებას მოასწავებს რუსეთისათვის. გაზეთებში ცნობა იყო, თითქოს იაპონიას გამოეცხადებინოს, რომ თუ რუსეთი სეპარატიულ ზავს ჩამოაგდებს, მაშინ რუსეთის წინააღმდეგ გამოილაშქრებენ მისი მოკავშირენიო ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ეს ასე არ მოხდება?

დემოკრატიულ რუსეთის მოწოდება იმპერიალიზმის დასატუქსად და უანექსიო უკონტრიბუციო საპატიო ზავის ჩამოსაგდებათ ჯერჯერობით რეალ შედეგს მებრძოლ სახელმწიფოებში ვერ პოულობს. მებრძოლი სახელმწიფონი კვლავ ძველის ლოზუნგით იბრძვიან და ძველს მიზნებს ახორციელებენ.

რუსეთი რჩება გარიყული. დღეს უკვე მომხდარ ფაქტათ არის აღსარებული. რომ რევოლუცია ანარქიის მორევში შესცურდა. რა დაიხსნის ქვეყანას?

როგორი წამალი უშველის მას? აი, ძნელი გასარკვევი კითხვა.

ყველა შიშობს, ბევრი უკვე ამბობს, ვაი თუ უპასუხის-მგებლო აფორიაქებულმა ყოფამ კორსიკანელი ნაპოლეონის მემკვიდრე წარმოშოს, რომელიც ცხადია უსისხლოთ წოდებულ რუსეთის რევოლუციას სისხლის ზღვაში გაატარებს.

სანტ.

რევოლუციის ამბები

(პ. დ. ს.)

დეპეშები

ყრილობის გადადება.

პეტროგრადი. ივნისის 9. სრულიად რუსეთის ტეხნიკური და სარადიოტელეგრაფის ყრილობა გადაიდვა 28 ივნისისათვის, რადგან ფრონტების წარმომადგენლები ჯერ-ჯერობით გზის სიშორის გამო არ შეკრებილან.

სასურსათო კომიტეტის დადგენილება.

ოდესა. ივნისის 11. სასურსათო კომიტეტის დადგენილებით დამზადებულ ტანისამოსის და სამანუფაქტურო საქონლის რაოდენობის ცნობაში მოსაყვანად ხსენებულ საქონლით ვაჭრობა დროებით შეწყვეტილ იქნება. ყველა სამანუფაქტურო ტანსაცმელების მაღაზიები და საწყობები უნდა დაბეჭდილ იქნას ივნისის 11-დან. დადგენილების დამრღვევთ მოელისთ საქონლის ჩამორთმევით დასჯა.

ადმირალ კოლჩაკის თანამდებობიდან გადაგომა.

პეტროგრადი. ივნისის 8. ადმირალი კოლჩაკი დეპეშით ატყობინებს დროებით მთავრობას, რომ იგი სამსახურს თავს ანებებს.

მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლების ყრილობა.

პეტროგრადი. ივნისის 8 ყრილობა გაიხსნა გეგეჭკორის რიგს გარეშე განცხადებით. ყრილობას შეატყობინეს, რომ დროებითმა მთავრობამ განკარგულება გასცა ანარქისტებს დაეცალათ დურნოვოს აგარაკი. ანარქისტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მთავრობის განკარგულებას, რამაც მცხოვრებლების მშრომელ ნაწილში მღელვარება გამოიწვია. ამის გამო აღმასრულებელ კომიტეტის მხრივ ყრილობის პრეზიდიუმი მიმართავს მცხოვრებლებს შემდეგის მოწოდებით!

ზოგიერთმა პირმა. რომელნიც თავიანთ თავს აცხადებენ ანარქისტ-კომუნისტებათ, რევოლუციის პირველს დღეებში დაიკავეს დურნოვოს აგარაკი. პეტროგრადის საბჭოს მხრივ თავის დროზე იყო განცხადებული, რომ კერძო სახლების დაკავება შეუძლებელიაო. ეხლა მთავრობა მოითხოვს აგარაკის დაცლას.

მთავრობის ასეთმა მოთხოვნილებამ გამოიწვია მცხოვრებთა შორის მღელვარება. მუშებმა გადასწყვიტეს, რომ მთავრობის მოთხოვნილება კონტრ-რევოლუციური არისო და ამიტომ აცხადებენ, იარაღს აეისხამთ და აგარაკს არ დავთმობთო. საბჭოს პრეზიდიუმმა, განიხილა რა მდგომარეობა, დაადგინა, მიანდოს პეტროგრადის საბჭოს აღმ. კომიტეტს, დაარწმუნონ მცხოვრებნი, რომ საბჭოს გადაწყვეტილებით სასტიკათ აკრძალულია კერძო და საზოგადოების კუთვნილების ძალით მოთვისება. ასეთი მოქმედებანი მიმართულია რევოლუციის წინააღმდეგ. მთავრობა მოითხოვს დურნოვოს სახლის დაცლას; ეს კონტრ-რევოლუციური მოქმედება კი არ არის, არამედ რევოლუციის საქმეთა მოწესრიგებას ნიშნავს. ამიტომ მოგიწოდებთ ვიბორგის ახლო-მახლო მდებარე ადგილების მცხოვრებ მუშებს დაუყოვნებლივ განაახლოთ მუშაობა ქარხნებში. ეხლა გაფიცვა კონტრ-რევოლუციის ხელის შეწყობას ნიშნავს.

იუსტიციის მინისტრმა აცნობა კომიტეტს, რომ სასამართლოს მთავრობა მხოლოდ დურნოვოს საცხოვრებელ სახლის განთავისუფლებას თხოულობს და სრულებით არ ეხება ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ ბაღის სარგებლობას. ეს განკარგულება შეეხება მხოლოდ იმ პირთა ჯგუფს, რომელთაც, ანარქისტების სახელით, ჩაიგდეს დურნოვოს სახლი, და რომელთა შორისაც მრავალია სისხლის სამართლის დამნაშავე. იგი განკარგულება სრულებით არ ეხება იმ პროფესიონალურ კავშირებს, რომლებიც დურნოვოს სახლში არიან მოთავსებულნიო. და სასრულ გეგეჭკორმა სთხოვა ყრილობას ასეთი დადგენილების დადასტურება.

კამენევმა (ბოლშევიკი) განაცხადა, რომ პარტია ასეთ მიმართვების გამო პასუხისგებას ვერ იკისრებსო.

გოცმა განაცხადა, რომ ანარ. სოც. ანარქ. სასარგებლოდ გაზ. „ნოვ. ვრემიას", „რუსკაია ვოლია"ს და „რეჩ"ის სტამბების კონფისკაციას მოითხოვენ, ამიტომ ის გადაჭრილ სიტყვას იტყვის, თუ კომიტეტს მხარს დაუჭერენო: კომიტეტს მხარს უჭერენ მენშევიკები, ბუნდი, ტრუდოვიკები და ნაროდნიკები. იუსტიციის მინისტრმა განმარტა, რომ პროფესიონალურ ორგანიზაციებისათვის არავის არაფერი უკადრებია, წინააღმდეგ სამინისტრომ ორგანიზაციებისათვის შესაფერ ბინის გამომნახველი კომისიაც კი დაარსა. დასასრულ მინისტრი მოითხოვდა, მხარი დაგვიჭირეთო, რადგან დეზორგანიზაცია მხოლოდ კონტრ-რევოლუციას გამოიწვევსო.

დიდი ხმის უმრავლესობით რეზოლუცია მიიღეს.

შემდეგ ყრილობა მთავრობასთან და მოკიდებულობის შესახებ საკითხს შეეხო. ყრილობამ მიიღო მენშევიკებისა და სოც.-რევოლუციონერების რეზოლუცია: „მოისმინა რა აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება, ყრილობა აღიარებს:

1) პირველ სამინისტროს კრიზისით შექმნილ პირობების გამო, მთავრობის ძალის საბჭოების ხელში გადასვლა რევოლუციას დაასუსტებდა, მოაშორებდა მას ერთობ საჭირო ელემენტს და რევოლუციასაც ძირს გამოუთხრიდა. ამიტომ ყრილობას საკეთილოდ მიაჩნია პეტროგრადის საბჭოს მოქმედება, რომელმაც მარტის 20-ს, საგარეო და საშინაო პოლიტიკაში მტკიცე დემოკრატიულ პლატფორმაზე დამყარებულ კოალიციონურ სამინისტროს შედგენით დამღუპველ მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზა გამონახა.

2) მოისმინა რა რევოლუციონურ მთავრობის საზოგადო პოლიტიკის შესახებ მინისტრების განმარტება, ყრილობა სრულს ნდობას უცხადებს და აღიარებს, რომ მათი პოლიტიკის მიმართულება ეთანხმება ყრილობის ინტერესებს და მოუწოდებს მთავრობას, რომ მეტის სიძლიერით და თანდათანობით განახორციელოს დემოკრატიული პლატფორმა, კერძოდ:

1. შეუდრეკელად ესწრაფოს ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე დამყარებულ უანექსიო და უკონტრიბუციო საყოველთაო ზავის საჩქაროდ ჩამოგდებას.

2 განახორციელოს ჯარში დემოკრატიზაციის საფეხურები და ეცადოს მის საომარ ძალის განმტკიცებას.

3. მიიღოს მშრომელ ხალხთან ერთად, ენერგიული ზომები შემძლე კლასთა მიერ და ომით გამწვავებულ პოლიტიკით აწერილ საფინანსო, საეკონომიო და სასურსათ სანოვაგო საქმეთა გამოსაკეთებლად.

4. ენერგიული ბრძოლა აწარმოოს კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ.

5. ეცადოს, რომ მუშათა და მიწის საკითხებში მხოლოდ ის ზომები განახორციელოს, რომლებიც ორგანიზაციულად მოწყობილ მშრომელ ხალხის მოთხოვნილებანი სავსებით ეთანხმებიან და რომელთაც უკარნახებთ ომით დაზარალებულ მეურნეობის ინტერესები.

6. ხელი შეუწყონ რევოლიუციონურ-დემოკრატიის ძალების ორგანიზაციას ადგილობრივ მმართველობა - თვითმართველობის დემოკრატიულ ნიადაგზე გარდაქმნით და ერობისა და ქალაქთა თვითმართველობის შემოღებით იქ. სადაც ეს არ არის.

7. ყრილობა — განსაკუთრებით დამფუძნებელ კრების საჩქაროდ მოწვევას მოითხოვს. ამასთანავე, აღნიშნულ პლათფორმის დაუბრკოლებრივ განსახორციელებლად, დემოკრატიის მთლიან გზერთიანებისათვის და სახელმწიფო ცხოვრების ყველა მხარეში მათ ნების გამოსახატავად, ყრილობამ საჭიროდ სცნო: დაარსდეს რუსეთის რევოლუციონურ დემოკრატიის ერთიწარმომადგენლობითი ორგანო, სადაც უნდა შევიდენ ყრილობისა და გლეხთა წარმომადგენელნი. ამ ორგანოს წინაშე მთავრობის ყველა საშინაო და საგარეო პოლიტიკის მოქმედებაში სოციალისტ-მინისტრები იქნებიან პასუხის მგებელნი. ეს პასუხისმგებლობა დაგვარწმუნებს, რომ, ვიდრე სოციალისტი-მინისტრები იქნებიან დროებით მთავრობის შემადგენლობაში, მთავრობა დემოკრატიასთან შეთანხმებით იმოქმედებს, ამიტომ მას მთელმა დემოკრატიამ უნდა დაუჭიროს მხარი.

დასასრულ ყრილობამ მოუწოდა, დემოკრატიის მუშათა და გლეხთა საბჭოების გარშემო მჭიდროდ შემოკრება და დროებით მთავრობის მხრის დაჭერა რევოლუციის გაღრმავება-გასამტკიცებლად თიბათვის 9-ში ყრილობამ სახელმწიფო საბჭოსთან დამოუკიდებულობის საკითხი განიხილა. სამი რეზოლუცია იყო წარმოდგენილი.

ლუნაჩარსკია მხარი დაუჭირა იმ რეზოლიუციას, რომლითაც საგანგებო დეკრეტით სახელმწიფო საბჭოს დათხოვნას მოითხოვდენ. მარტოვმაც ასეთივე რეზოლიუცია წარადგინა. მენშევიკებმა და სოც. რევოლიუციონერებმა შემდეგი რეზოლიუცია შეიტანეს: გვაქვს რა მხედველობაში, რომ ამ ბოლო დროს, სახელმწიფო საბჭოს ზოგიერთი წევრები სარგებლობენ იმ მდგომარეობით, რომელიც მათ რევოლიუციის პირველმა დღეებმა არგუნა, საბჭოს სახელით თავიანთ იმპერიალისტურ ლოზუნგების გასასაღებლად რევოლიუციის და დემოკრატიის წინააღმდეგ მომქმედ ძალის შემოკრებას ცდილობენ, სრულიად რუსეთის ყრილობა საჭიროდ სცნობს გამოაცხადოს რომ რევოლიუციამ დაანგრია რა ძველი წესწყობილება, მასთან ერთად — 1) გააუქმა სახელმწიფო საბჭო და სათათბირო, როგორც ორგანო სახელმწიფოს მთავრობისა:

2) რომ რევოლიუციამ მოუსპო მათ ის სახელწოდება, რომელიც ძველ წესწყობილებისაგან ჰქონდა ბოძებული;

3) მომავალში საბჭოს და სათათბიროს შესანახი ხარჯი უნდა მოესპოს.

4) სახელმწიფო საბჭოს ყოფილ წევრთა მოქმედება ისევე უნდა ჩაითვალოს, როგორც კერძო პირთა მოქმედება.

ეს რეზოლიუცია მიღებულ იქმნა მარტოვის ოდნავ შესწორებით. სახელდობრ. სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის და შრომის ჯგუფის წევრები სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტიდან უნდა მოვიდენ. ხმის მიცემის დროს ბოლშევიკებმა და ინტერნაციონალისტებმა თავი შეიკავეს.

შემდეგ ამისა ყრილობამ ომთან დამოკიდებულობის საკითხი განიხილა. მომხსენებელი **დანი** დაბეჯითებით მოითხოვდა სეპარატიულ ომის პრინციპის უარყოფას, რადგან იგი სეპარატიულ ზავამდე მიგვიყვანსო.

ინტერნაციონალისტებიო, — ამბობს იგი, — ომს ვიწრო ნაციონალურ ინტერესების ფარგლებში აყენებენ, ხოლო ობორონცები კი მას საერთაშორისო ხასიათს აძლევენო.

ხალხთადმი მიმართული ნოტა, მხოლოდ მაშინ მიაღწევს სასურველ მიზანს თუ მას მხარს დაუჭერს შეთანხმების სახელმწიფოთა დემოკრატია, ზავის ჩამოსაგდებლად რუსეთის მოქმედებას რომ რაიმე სასარგებლო შედეგი მოჰყვეს, ამისათვის საჭიროა ძალა. ხოლო ძალა კი ორგანიზაციულად მოწყობილ მებრძოლ ჯარში მდგომარეობს. ომი წინასწარ ითვალისწინებს შეტევას თუ თავდაცვას. შეტევა ხანდისხან თავდაცვის ერთად ერთი საშუალებაა ხოლმე, ამიტომ უფროსების ბრძანების აღსასრულებლად ჯარი მუდამ მზად უნდა იყოს. ჯარში უნდა იყოს დისციპლინა. დეზერტირებმა საბოლოოდ დასცეს ტრანსპორტის საქმე. ჯარის წინამძღოლნი უნდა დემოკრატიული ელემენტები იყვნენ, რომ მათ ჯართან ერთად მთელი ქვეყანაც ენდობოდეს. უძლურს ჯარს ჩვენი მოწოდება ვერ განამხნევებს. ყრილობამ ჯარის ძლიერების უმწვერვალეს სიმაღლემდე აყვანას ხელი უნდა შეუწყოს დამარცხების ასაცილებლად. (?)

ლენინმა ყრილობას თანამედროვე იმპერიალიზმის სრული სურათი წარუდგინა იგი უმტკიცებდით რომ ბატონობისთვის

ძირითადი პრინციპები ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა.

საზოგადოებრივ ცხოვრებას განაგებს სამი პრინციპი: თავისუფლების, თანასწორობისა და ერთობის. და სოციალური ორგანიზმის ბუნებრივი, წესიერი ზრდა-განვითარება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც არცერთი მათგანი არა სჩაგრავს დანარჩენთა და კეთილშეწყობილი, ჰარმონიული თანხმობაა მათ შორის.

გამოვიძიოთ ამ თვალთახედვით ჩვენი სოციალური-პოლიტიკური მრწამსის ძირითადი დებულებანი.

ეროვნება.

ეროვნება — საზოგადოებრივი ორგანიზმია, პიროვნებათა შენაწევრებული კრებულია, რომელსაც საკუთარი მიზანი და თავისებური შემოქმედი ნიჭი ახასიათებს.

პირველყოფილი კაცობრიობა პატარა ჯგუფებად იყო დანაწილებული და ეროვნებანი ხანგრძლივის ეკონომიურის, კულტურულისა და პოლიტიკური განვითარების შემდეგ წარმოსდგენ, ე. ი. თვითეული ეროვნება თანდათანობითი ცვალების, ან ევოლუციის, შედეგია.

რით განიზომება ერის ფიზიკურ და სულიერ შემოქმედ ძალთა სიდიდე?

ერის სულიერი შემოქმედების ძლიერებას გამოხატავს უპირველესად ენა. ენა- ადამიანის გონებრივისა და გრძნობითი ქმნადობის, ანუ პროცესის, შემკრებელი, შემნაწევრებელი საშუალებაა. უმისოდ შეუძლებელი იქნებოდა მცნებათა თანშესაბამობის განსაზღვრა და, მაშასადამე, სულის უმაღლესი განვითარება.

ამიტომ ენის განვითარება — ყველა კლასისათვის თანასწორად საჭირო და აუცილებელია.

ეროვნული ორგანიზმის ზრდა და განვითარება შეუძლებელია თვინიერ ტერიტორიისა. მიწა, ტერიტორია — ეროვნულ ძალთა შემკრებელი, ეროვნულ-კულტურულისა და ეროვნულ-პოლიტიკური შემოქმედების სარბიელი და საშუალებაა.

იმავე დროს თვითეულ ერს ახასიათებს განსაკუთრებული სულიერი რომელობა, ზნე-ჩვეულებანი, ისტორიული თავგადასავალი, ეკონომიური ურთიერთობა, კულტურა და განათლება. აწმყო შედეგია წარსულისა და მომავალი შედეგი იქნება აწმყოსი. მაშასადამე, ეროვნულ ძალთა განვითარება უნდა იყოს ბუნებრივი, თავისუფალი, ძალადაუტანებელი.

მაგრამ ეს შეუძლებელია, თუ ერს არ აქვს საკუთარი სახელმწიფო: მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია შეკრიბოს და მოიხმაროს სასარგებლოდ ერის შემოქმედი ძალნი, შექმნას თავისუფალი მოქმედების პირობები.

მაგრამ თავისუფლება არ არის თვინიერ თანასწორობისა. არც ერთი ერი არ უნდა სჩაგრავდეს სხვას: მხოლოდ მაშინ შესძლებს თვითეული მათგანი თავისი შემოქმედებითი შრომის ნაყოფის შეტანას საკაცობრიო კულტურისა და განათლების სალაროში.

საქართველოს ავტონომია

ქართველმა ერმა თავისი სულიერისა და ეკონომიურ-პოლიტიკური ძალების თავისუფალი განვითარებისათვის უნდა შექმნას საკუთარი სახელმწიფო.

სახელმწიფოებრივი ფორმა სამგვარია: სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო, ნახევრად დამოკიდებული სახელმწიფო და პოლიტიკური კავშირი ანუ ფედერაცია. საქართველოს სრულიად ჩამოშორება რუსეთისაგან ან ფედერატიული კავშირი მასთან თანასწორობის საფუძველზე — შეუძლებელია დღევანდელ პირობებში.

მაგრამ მისი დამოკიდებულება რუსეთთან უნდა განისაზღვრებოდეს 1783 წელს დამოუკიდებელ საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულობით, რომელსაც, აქვს საერთაშორისო უფლების იურიდიული ძალი და მნიშვნელობა.

იმავე დროს სასურველია დამყარდეს კავკასიის ერთა ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი და მის ერთერთ წევრად საქართველოც იქნებოდეს.

ამასთანავე საქართველოს ავტონომიის შინაგანი პოლიტიკური ანაგები უნა იქნეს დემოკრატიულ-რესპუბლიკური ე. ი. უნდა განახორციელებდეს თავისუფლებას, თანასწორობასა და ერთობას.

პიროვნება -- საზოგადოების მოქმედი სოციალური ელემენტია და მისი ხელშეუხებლობა — წყაროა საზოგადოებრივი შრომის შემოქმედს, ამშენებელ ძალად ქცევისა.

პიროვნების ხელშეუხებლობის პრინციპისაგან კი იშობება: ადმინისტრაციის თვითნებობის უარყოფა, ხალხის მიერ არჩეული და დამოუკიდებელი სასამართლო და მის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორი პასუხისმგებლობა, სიტყვის, ბეჭდვის, სინიდისის, კრების, გაფიცვის, ამხანაგობის თავისუფლება, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული, პროპორციული და თავისუფალი სამოქალაქო და საპოლიტიკო არჩევნები, თანასწორობა ქალთა და კაცთა, ფართო ადგილობრივი თვითმართველობა და სხ.

ეკონომიური პოლიტიკა.

ეკონომიურ პოლიტიკასაც ხსენებული სამი პრინციპი უნდა ჰქონდეს საფუძვლად.

უკვე ადამ სმიტმა ნათელ-ჰყო, რამდენად სასარგებლოა წარმოების გაუმჯობესებისათვის შრომის თავისუფლება. და, შეიძლება ითქვას, რომ სწორეთ თავისუფლების დაფასებაშია უმთავრესი განსხვავება ჩვენსა და სოციალისტებს შორის. მაშინ როდესაც ჩვენ აღვიარებთ თავისუფალ შრომას მიზეზად საზოგადოებრივი განვითარებისა და წინსვლისა, სოციალისტებს უნდათ, შრომა სასტიკ სახელმწიფოებრივ დისციპლინას დაუქვემდებარონ. ჩვენი აზრით, შრომის პირობები არ უნდა ჩაგრავდენ თავისუფლებას, სოციალისტებს კი იდეალად ისეთი საზოგადოებრივი წყობილება დაუსახავსთ, რომელშიაც თავისუფლება სხვერპლად შეეწირება თანასწორობასა და ერთობას.

მაშასადამე, ჩვენს დროშას აწერია: „თავისუფლება შრომისა, თანასწორობა და ერთობა," სოციალისტების დროშას კი: „საზოგადოებრივი დისციპლინის მიერ დაბორკილი შრომა, თანასწორობა და ერთობა". ამას მოწმობენ: თითქმის ყველა სოციალისტი პლატონ ბრძენიდან დაწყებული კარლ მარქსამდის, — რომელიც ითვლება თანამედროვე სოციალიზმის მამამთავრად, — პირველყოფილი კომუნიზმის მაგალითები და აუარებელი უშედეგო ცდა სოციალიზმის ანუ კომუნიზმის განხორციელებისა მეცხრამეტე საუკუნეში:

განვიხილოთ ამ განსხვავების თვალთახედვით სოციალური შრომის სხვადასხვა სარბიელი.

სოციალისტები ამბობენ: უნდა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზედ; მიწა სახელმწიფოს ხელში უნდა გადავიდეს და გადაეცეს შემდეგ მიწისმუშებს, როგორც დროებით სახმარებელი საწარმოო საშუალება, და არა, როგორც კერძო საკუთრება, იჯარით ან სხვა პირობითო.

მაგრამ, უეჭველია, მიწის-მუშა არ გააუმჯობესებს მეურნეობას, თუ კი იმედი არ ექნება, რომ მის მიერ გაუმჯობესე-

ებრძვიან გერმანეთი და ინგლისი, ხოლო დანარჩენები მათი მოსამსახურენი არიანო ომი თვითმპყრობელობის და იმპერიალიზმის მტაცებლობითი პოლიტიკის გაგრძელებაო. უცილოდ საჭიროა საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნება. ლენინმა გულისწყრომით უარჰყო ის ეჭვები, რომ თითქოს ბოლშევიკები სეპარატიულ ზავის ჩამოგდებას ცდილობდნენ. ლენინს არა ჰსურს გერმანელ ყაჩაღებთან ზავის შეკვრა. სეპარატიული ზავი შეუძლებელია, ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ უარს ვყოფთ ანექსია კონტრიბუციას და მხარს ვუჭერთ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას ჩვენ სომხეთის, ფინეთის და უკრაინის ანექსიაზე უარი უნდა განვაცხადოთ ჩვენ უნდა გამოვაქვეყნოთ ხელშეკრულებანი და გადაჭრით უარი უნდა განვაცხადოთ ინგლისის და საფრანგეთის მიერ მონატაცების დაცვაზე დასასრულ ლენინმა ციტატა სთქვა რუსეთის ბურჟუაზიასთან საბრძოლველად.

სამხედრო მინისტრმა **კერენსკიმ** რომელსაც ყრილობა მქუხარე ტაშით შეეგება რუსეთის ჯარისადმი ლეოპოლდის მიერ გამოგზავნილი რადიოტელეგრამა წაიკითხა თუ მხედველობაში ვიქონიეთ ლენინის აზრს, სთქვა კერენსკიმ, მაშინ ეს მსოფლიო რევოლუციის დასაწყისი კი არა, არამეთ რუსეთის რევოლუციის გათავება იქნება. კერენსკიმ გარკვევით სთქვა, რომ გერმანეთის და რუსეთის დემოკრატები სხვადასხვა აზრისანი არიან, მიუხედავათ იმისა, რომ ანექსიის, კონტრიბუციის და ხალხთა თვითგამორკვევის შესახებ საკითხის ფორმული ერთნაირად ესმითო. ამ ფორმულას ისინი მხარს უჭერენ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ინტერესებისთვის მაშინ როდესაც რუსეთი საკუთარ საერთაშორისო პოლიტიკას აწარმოებსო. მთავრობამ რუსის ჯარის ათინაში გადასვლა და საბერძნეთის კონსტიტუციის დარღვევის საქმეში მონაწილეობის მიღება კატეგორიულად აუკრძალაო.

პეტროგრადი. ივნისის 8. მთავრობასთან დამოკიდებულების რეზოლუცია მიღებულია 543 ხმის უმრავლესობით 126 წინააღმდეგ. 52 თავი შეიკავა, 65 კრებას არ დაესწრო. კენჭის ყრამდე სიტყვა სთქვა შრომის მინისტრმა **წერეთელმა** და მომხსენებელმა **ლიბერმა** წერეთელმა აღნიშნა, რომ დროებითი კოალიციონური მთავრობა — ეს რევოლუციურ დემოკრატიისა და ბურჟუაზიის კავშირიაო. ეს ცდაა პროგრესიულ ელემენტთა შეერთებულის ძალით მძლავრ დაბრკოლებათა დაძლევისა და რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისაო. არჩევს რა ამ კავშირის მიზეზებს და ხასიათს წერეთელმა სთქვა: ეხლა, როდესაც საჭიროა ყოველნაირი ძალების შემოკრება საქმის გასაკეთებლად. შინაგან და გარეგან კრიზისის დასაძლევად, სწორედ ეხლაა საჭირო მთავრობა ხალხის უმრავლესობის ნდობით აღჭურვილიო იმისდა მიუხედავათ, რომ რევოლუციურ დემოკრატიის ორგანოებს დიდი მნიშვნელობა და ძალა აქვთ, წერეთელს, საჭიროდ მიაჩნია მაინც ერთი უმაღლესი მმართველი ორგანოს არსებობა, რადგან მისი აზრით რევოლუციურ დემოკრატიის ორგანოები ვერ იქნებიან ქვეყნის მამოძრავებელ ძალთა გამაერთიანებელნი. როდესაც ამბობენ: „ბურჟუაზიის გაბატონებული კლასიაო“ ეს გამოთქმაა არამც თუ მარტო ამ კლასის ეკონომიურ მდგომარეობისა, არამედ არის კიდევ რაღაც სხვა ძალები, რომელნიც მას სხვა კლასებთან აკავშირებენ რევოლუციის პირველ ხანაში, როდესაც აღმოჩნდა, რომ მესამე სათათბიროს გარშემო პირველად თავი მოიყარა რევოლუციურმა ძალამ, როდესაც მათ თიბათვის სამის სათათბირო რევოლუციურ ცეცხლით მონათლეს, ჩვენ დავინახეთ, რომ ფართე დემოკრატიულ წრეებში ხალხის წარმომადგენლობა პროგრესიულ იდეათა მატარებელი იყო. სწორეთ აქ ჩაისახა ცენტრი, რომელმაც რევოლუციას დახმარება გაუწია. თუ გვსურს, რომ რევოლუციამ მიაღწიოს ყოველივე იმას, რასაც ვესწრაფვით, ამიტომ საჭიროა იგივე რევოლუცია თანდათანობით უკეთესისაკენ ვითარდებოდეს. მას არ შეუძლიან ერთს წერტილზედ შეჩერება, ხალხის შეგნება რევოლუციით უნდა აღიზარდოს. რევოლუციის სვლა-განვითარება სცდის ხალხისათვის ავტორიტეტულს ჯგუფებს დასწორედ ამგვარი პროცესი ჰხდება ბურჟუაზიისათვისაც. რევოლუციის პირველ ხანაში ეჭვე არ გვებადებოდა, შეუძლიანთ თუ არა დროებით მთავრობაში ადგილი ჰქონდეს ბურჟუაზიის იმპერიალისტურ ჯგუფის წარმომადგენლებს მილიუკოვს და გუჩკოვს, მაგრამ როდესაც ხალხის თვალწინ აღიმართა ისეთი კითხვები, რომელთა გადაწყვეტას ხალხი თავის სასარგებლოდ მოელოდა, როდესაც ბურჟუაზიის ამ ნაწილმა ვერ შესძლო ამ კითხვათა გადაწყვეტა ისე, როგორც ამას ქვეყნის ინტერესი მოითხოვდა, — მათ ხალხმა თავისი უნდობლობა გამოუცხადა და რევოლუციის მსვლელობის ქარით უკან გასტყორცნა, ეს ის გზაა, რომლითაც ჩვენი რევოლუცია ივლის. რევოლუცია არა თხოულობს არც შინაგან, არც გარეგან კითხვათა ავანტურისტულ გადაწყვეტას. დღევანდელი დღის პლატფორმა, ხაზი რომელსაც რევოლუციის მსვლელობა არ ასცდება — დემოკრატიული რესპუბლიკაა. და აი, აქვეყნებს რა ამ პლატფორმას, იგი მოუწოდებს ქვეყნის ყველა კლასებს ამაღლდნენ თავის საპირადო ინტერესებზე და ისინიც ამ პლატფორმაზე დაადგნენ. საჭიროა წინ სვლა და უვარგისთა ჩამოშორება. მაგრამ თუ წინ ვიარეთ და ყველანი ჩამოვიშორეთ, ვინც ხალხის ნდობით არის აღჭურვილი და მარტონი დავრჩით, მაშინ ჩვენს მისწრაფებას ჩავწიხლავთ.

ყრილობაზე მინისტრები და ორატორებიც ლაპარაკობდნენ თავიანთ განცხადებათა პასუხის მგებლობაზე. ჭეშმარიტად ყველანი პასუხის მგებელნი ვართ, და ჩვენი პასუხის მგებლობა არამცთუ პოლიტიკურია, არამედ რევოლუციურ დემოკრატიის წინაშეც მოვალეა. (ტაში).

უცხოეთი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

ვენიზელოსი პირეიში.

ათინა. ივნისის 9. ვენიზელოსი პირეიში მივიდა, მფარველ სახელმწიფოთა მთავარ კომისარის მიწვევის თანახმად. სახელმწიფო მოღვაწეთა თათბირის შედეგი ჯერჯერობით არ გამოუქვეყნებიათ. როგორც ფიქრობენ ვენიზელოსის მისვლა ხელს შეუწყობს საბერძნეთის გაერთიანების საქმესო, როგორც ხმები დადის ვენიზელოსს სურს მოიწვიოს პარლამენტი, რომელიც არჩეული იყო 1915 წელს. მეგობრებთან საუბრის დროს ვენიზელოსმა იმედი გამოსთქვა კრიზისის გადაწყვეტის შესაძლებლობის შესახებ საღამოთი პირეხისი მცხოვრებლებმა მანიფესტაცია გამართეს ვენიზელოსის პატივსაცემლად.

ამერიკელ მოღვაწეთა მოწოდება რუსის ხალხისადმი.

ნიუიორკი. ივნისის 10. ამერიკის გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფმა, რომელთ რიცხვშიაც შედიან ჯერომენ ტომა ედისონი რანკლინგიდდინგი და ჯორჯულერ ხოხემი, გამოსცა მოწოდება რუსის ხალხისადმი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ამერიკის დემოკრატია ჩაება ომში არა დაპყრობისათვის და მტაცებლობისათვის. ამერიკელები თავის აზრს გამოსთქვამენ ზავის ორაზროვან ფორმულის, ე. ი. უკონტრიბუციო და უანექსიო ზავის შესახებ. ამ ფორმულას იყენებენ იმავ ვერაგულ გერმანეთის ზავის პროპაგანდის სასარგებლოდ, რომელსაც დიდი ზიანი მიუყენებია ამერიკელთათვის უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში.

გერმანეთის გეგმა: შექმნას ევროპის ძლიერი ცენტრალი ავტოკრატია, რომლითაც ევროპა შუა გაიყოფა, შეაჩერებს რუსეთის ზრდაგანვითარებას და დაუკეტავს მას ზღვით გასავალ კარებს დაიმორჩილებს დასავლეთ აზიას რომელიც წარმოადგენს ინდოეთის კარებს, ნიადაგს მოუმზადებს ახალს ომს, რომ მოუპოვოს ქვეყნის მბრძანებლობას. ამ მიზნებით ხელმძღვანელობას უწევდა გერმანეთი ავსტრიის პოლიტიკას. ჩაითრია ომში ბულგარეთი და ოსმალეთი ვასალურ მდგომარეობით. ავსტრიის მფარველად გამოვიდა ბოსნიის და ჰერცოგოვინის ანექსიის დროს. იდუმლად ხელს უწყობდა სერბეთის დაპყრობას. ეხლა კი, როცა ხედავს მისი საქმე ცუდათ წავა იმ შემთხვევაში, თუ მისი მოწინააღმდეგენი დაიცავენ მტკიცე კავშირს, გერმანეთი ცდილობს ინტრიგებით მაინც მიაღწიოს მიზანს. იგი დარწმუნებულია, რომ რუსეთს ჩამოაშორებს მოკავშირეებს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის საშუალებით. თუ ამ საშუალებით მიზანს ვერც მიაღწია. იგი ეცდება ისეთი პოლიტიკა მოახვიოს თავზე მოკავშირეებს, რაც საშუალებას მისცემს მას ისარგებლოს ბოსნიის და ჰერცოგოვინის და სხვა მშვიდობიანობის მოყვარე მეზობლებისაგან ძალით წართმეულ ადგილების ბატონობით. ავსტრო-უნგრეთზე, ოსმალეთზე და სხვა ადგილებზე ბატონობით იგი ომიდან გამოვიდოდა ძლიერი და გაფართოვდებოდა. გერმანეთმა შეგნებულათ თავისდა სასარგებლოთ გამოიწვია ომი, ისარგებლებდა რა თავის გამარჯვების შედეგებით, კონტრიბუციებით და სხვა სიმდიდრეთა მითვისებით, გერმანეთი გაძლიერდებოდა ქვეყნის თვალში და მისი სამხედრო პრესტიჟი აიწევდა.

(გაგრძელება იქნება)

პატარა ფელეტონი.

კრების ბოლო.

სრულიად საქართველოს საკათალიკოსოს სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლების კრება დასრულდა. სალვთო სჯულიდან დაწყებული, ვიდრე საჯან-საღო გასართობამდის ყოველი საგნის სწავლების და სხვა საჭიროების შესახებ მსჯელობა და აზრთა გაცვლა გამოცვლა დამთავრდა, შესაფერი რეზოლუციის გამოტანით.

დადგენილება მასწავლებელთა სრულის ერთსულოვნური თანხმობით მოხდა, რითაც ყველას სახეზე სიამოვნება აღიბეჭდა. უკანასკნელი კამათი იყო: როგორი საშუალება ვიხმაროთ, რომ მოწაფენი, სხვა სწავლა-განათლების მიღებასთან ერთათ ნამდვილ-ადამიანებიც გამოვიდნენ?

ამ დროს გვესტუმრა ერთი მოხუცი, დამსახურებული პედაგოგი. სიტყვის ნება ითხოვა. ხანგრძლივ მჭევრ-მეტყველებაში ბევრი საოხუნჯო სიტყვები იხმარა; მსჯელობა ვერ დაუახლოვა საკამათო საგანს, მაგრამ ისე კი დამსწრენი ცალმხრივ აცინა და ცალმხრივ სამმავლო, საზეციერო ცხოვრებისათვის საგონებელში ჩააგდო. საფლავის კარამდის მიყვანა მხოლოდ და კაცთა ქვეყნად ცხოვრების მიზანი „ვაით“ შობა და „უით“ სულის განტევებით დაამთავრა. ცხოვრების ასეთმა განმარტებამ, ზოგიერთებზე მაინც, ვერ დასტოვა კარგი შთაბეჭდილება მოსაუბრის შესახებ...

ძველად ასეთი ჩვეულება იყო: დიდი კაცი, რომ ოჯახს ესტუმრებოდა ნადიმზე მგალობლები შესაფერს „მუნასიბს“ უგალობებდენ შესხმით, ნიშნად პატივის ცემისა. მოგეხსენებათ: ყოველი მოხელე თავის მოხელეობის მიხედვით უწევს სამსახურს ვისთვისაც პატივისცემა უნდა და რადგან ეს უდროობის გამო მაშინ ვერ მოვასწარით, ამიტომ მე, როგორც მგალობელი, მინდა ერთი მუნასიბი უგალობო მცხოვან დამსახურებულ პედაგოგს. აი ეს მუნასიბიც:

„ახლოს არს სული სიკვდილი, ახლოს არს, არა ზრუნავ! არცა მზა იქნები! ჟამი შემოკლებულ არს, აღიმსთვე შენ; ახლოს და კართა ზედა სდგას მსაჯული. სიზმრებრ და აჩრდილებრ წავლენ ჟამნი ცხოვრებისანი, — რასა ამაოდ შფოთებ„?!*)

მღვდ. **რ. ხ—ძე**.

ახალი ამბავი

◆ სტიპენდია. ქუთაისის გუბერნიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების მიერ დაარსდა განსვ. ფიფინაშვილის ქვრივის სახელობის სტიპენდია, რომელიც უდრის 400 მან. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ თხოვნით საზოგადოების გამგეობას.

◆ მოხსენება. ამ დღეებში ქართველ უკრაინელთ, კავშირის კომიტეტის წევრი სტუდ. ილარიონ ჟღენტი ქუთაისში და ფოთში წაიკითხავს შემდეგ მოხსენებას. „სრულიად რუსეთის ჩაგრულ ეროვნებათა შორის.

◆ კრება. დღეს საღამოს 7 საათზე ქუთაისის საკრებულოს საზამთრო შენობაში მოხდება ქუთაისის კერძო დაწესებულებათა მოსამსახურეების (დარაჯთა) კრება თავის მატერიალურ მდგომარეობაზე საბჭოთ.

◆ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს განცხადება. ქუთ. მუშ. და ჯარ. კაცთა საბჭო მოითხოვს, რომ დაუყონებლივ გადაყენებულ იქმნას ქუთ. ოლქის სასამართლოს პროკურორი და სასამართლოს სხვა მოსამსახურენი, რომელთა დათხოვნა ამას წინათ დადგინდა.

◆ თხოვნა. ქუთ. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე სთხოვს აღმ. კომიტეტს აცნობოს მას, თუ ვის ხელში და სად იმყოფება ყოფილი ქალაქის და ჟანდარმთა საბუთები, რომელიც მან უნდა ჩაიბაროს.

◆ სახ. სათათბიროს და სახ. საბჭოს გაუქმება. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ გააუქმა სახ სათათბირო და სახ. საბჭო.

◆ მოწოდება რკინის გზის მუშებს. ამიერ კავკასიის რკინის გზათა მთავარი სამმართველო შემდეგ მოწოდებით მიმართავს რკინის გზის მუშებს. !„დღეს აშკარა ხდება, რომ რკინის გზებზე დადიან ზოგი ერთი ნაკლებ მოფიქრების მქონე პირები და მუშებს გაფიცვას მოუხმობენ. გიცხადებთ, რომ დღევანდელ მომენტში გაფიცვის მოხდენა თავისუფლების წინააღმდეგ გალაშქრება იქნება. მუშებო! ეკონომიურ კერძო მოთხოვნისთვის ნუ გამოხვალთ რეაქციონერთა პროვოკატორთა როლში. არ მოახდინოთ გაფიცვა. თქვენ სამართლიან მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ მსჯელობს მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭო. თუ თქვენ, არ შეიგნებთ მომენტის სიმძიმეს და მაინც მოახდენთ გაფიცვას, მაშინ ჯარი თქვენ მოგესევათ და პასუხს მოგთხოვთ რის უფლებაც მას ექნება, რადგან თქვენი ამდროული გამოსვლა თავისუფლების დასასამარებლათ იქნება მიმართული.

პროვინცია.

ხიდისთავი (გურია) აქ გაიხსნა ფოსტა ტელეგრაფის განყოფილება.

— ზესტაფონი. ზესტაფონის ხიდთან თავი მოიკლა ვ. ფოჩხაძემ.

— ზუგდიდი. ქუთ. აღმასრულ. კომიტეტს ატყობინებენ. რომ ალშიბაიას საქმის გარჩევა (მინგრელსკის მოურავის) უკვე დამთავრდა.

— სოფ. გეგუთი. 18 ივნისს ადგილობრივ ახალ გახსნილ შოთა რუსთაველის სახელობის წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ გაიმართება საღამო. წარმოდგენილი იქნება 4-მოქ. პიესა აქვს. ცაგარელისა ,,ქართველი დედა'' და ერთ მოქ. ვოდევილი წაიკითხავენ ლექსებს, აგრეთვე ნაჩვენები იქნება ცოცხალი სურათები და ბოლოს გაიმართება ეროვნული ცეკვა.

ამ ბოლო დროს აქ ძლიერ იჩინა თავი ყვავილმა. ბევრი იმსხვერპლა. საჭიროა დაუყონებლივ დახმარება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კონფერენცია.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

6 ივნისის საღამოს სხდომის გაგრძელება.

სამადაშვილი (სიღნაღის მაზრის აგრონომი) იცავს აზრს მემამულეთაგან ზედმეტ მიწის უფასოდ ჩამორთმევისა! და გლეხებზე გადაცემისას.

ჩიტო კაპანაძე ემხრობა იმავ აზრს. გ. ტყეშაძე იმავ აზრს ემხრობა, მოითხოვს მკიროდენ მსხვერპლს თავადაზნაურთაგან სამშობლოს საკურთხეველზე შესაწირავად.

დ. ვაჩნაძე. ვრცლად და დალაგებით ლაპარაკობს კერძო საკუთრების საჭიროებაზე არა მარტო გლეხებისათვის, არამედ სხვა წოდებისათვისაც.

ბულ მამულს მისი შვილნი და ჩამომავალნი დაეუფლებიან.

მაშასადამე, კერძო საკუთრება მიწაზე — უძლიერესი წამქეზებელი, წამახალისებელი ძალია შემოქმედებითის, გამანაყოფიერებელი შრომისათვის.

ვგონებ, არცერთს პროფესიას არა რგებია წილად იმდენი დაუმსახურებელი ბრალდება, რამდენიც ვაჭართა კლასს. მაგრამ ვაჭრობა, როგორც სამართლიანად ამბობს კარლ მარქსი, რევოლუციური ძალია, რომელმაც ხელი შეუწყო ახალი საწარმოო წესების და სახმელეთო — საზღვაო საშუალებათა აღმოჩენასა და გაუმჯობესებას, კულტურისა და განათლების ერთი ქვეყნიდან მეორეში გადანერგვას, ფეოდალიზმის დამხობას, პოლიტიკურისა და ეკონომიური თავისუფლების დამყარებას, საერთაშორისო ერთობის განმტკიცებისა და სხ.

იმავე დროს სავაჭრო თანხის ნამეტნავი სამრეწველო თანხად იქცევა და ხელს უწყობს მით ქვეყნის სიმდიდრის გადიდებას.

ვაჭრობის განვითარება კი შესაძლებელია მხოლოდ კერძო საკუთრების ნიადაგზე, რომლისგანაც იშობება სავაჭრო ჯიბრი ანუ ცილობა.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს კერძო საკუთრების ნიადაგზე აღმოცენებული შრომის თავისუფლებასა და ეკონომიურ ჯიბრს, ანუ კონკურენციას, ხელოსანთა, კაპიტალისტთა და მუშათა შორის — ხელოსნობისა და მეტადრე დიდი მრეწველობის განვითარებისათვის, რომელიც უდევს საფუძვლად ეგრეთწოდებულს კაპიტალისტური ცივილიზაციას.

ამგვარად, მაშინ, როდესაც სოციალისტები ამბობენ: უნდა განხორციელდეს ქონებრივი თანასწორობა, არ უნდა იყვნენ მდიდარნი და ღარიბნიო, ჩვენი მიზანია: კერძო საკუთრების განმტკიცება თანასწორობისა და დამოუკიდებლობის საფუძველზე — და მასთან ერთად ქარხნისა და თავისუფალი პროფესიის მუშათა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

ნათქვამიდან ჩანს, რომ მიწის მუშათა, ქარხნისმუშათა და ვაჭარ მრეწველთა შორის — მჭიდრო ეკონომიური ერთობაა. ხსენებული კლასები ერთმანეთისათვის აუცილებელი არიან, ერთმანეთს შეავსებენ, ერთს მთელს, შენაწევრებულ სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენენ და მაშასადამე, ეროვნული ორგანიზმის ყოველმხრივი ზრდა განვითარებისათვის საჭიროა, როგორც მიწისა, და ქარხნის მუშათა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, აგრეთვე ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება.

ოჯახი.

ოჯახი — სოციალური უჯრედია, რომელიც ბუნებრივს, ორგანიულ ერთობაზეა აგებული და რომელსაც, ამიტომ, უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ოჯახის უმთავრესი დანიშნულება — ახალ თაობის აღზრდაა. არცერთს სხვა დაწესებულებას არ შეუძლია აასრულოს ეს დიდი მოვალეობა ისე კარგად, როგორც ამ პატარა საზოგადოებრივ კრებულს, რომელიც სწრთვნის თავის წევრთა შორის თანამშრომლობასა და თანაშემწეობას, სიყვარულსა და ზნეობას.

მაგრამ ოჯახს შეუძლია აასრულოს თავისი დანიშნულება მხოლოდ მაშინ, როცა უფლებრივი თანასწორობაა მის წევრთა შორის.

სწავლა-განათლება.

სწავლება უნდა წარმოობდეს დედაენაზე. სწავლა უნდა იყოს საყოველთაო და თავისუფალი სქოლასტიკისა და სარწმუნოებრივი დოგმატიზმისაგან.

ეროვნული დემოკრატია და ბურჟუაზია.

სოციალისტები გვიწოდებენ ჩვენ ბურჟუაზიულ პარტიას". მაგრამ ეს სახელწოდება შეუსაბამოა. ჩვენ არ ვიცავთ რომელიმე კლასის განსაკუთრებულ ინტერესებს, არამედ მთელი ხალხისას, ერისას. ჩვენი უმთავრესი ყურადღება, პირიქით, ღარიბთადმია მიქცეული, რადგან ერის უმეტესობას ისინი შეადგენენ და, მაშასადამე, ეროვნული ორგანიზმის ზრდა და სიმთელე უმთავრესად მათს კეთილდღეობაზეა დამოკიდებული.

იმავე დროს არც ვაჭარ-მრეწველთა და თავისუფალი პროფესიის მუშაკთა ინტერესები შეგვიძლია დავივიწყოთ, რადგან, ერთი მხრით, ვაჭრობა-მრეწველობასა და, მეორე მხრით, თავისუფალი პროფესიის მუშაკთა მოღვაწეობას — უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ამიტომ ჩვენ ვიცავთ თვითეულ კლასს იმდენად, რამდენადაც ის — ეროვნული სხეულის ყოველმხრივი განვითარებისა და წინ სვლისათვის საჭირო და აუცილებელია.

და, თუმცა შეუძლებელია უარყოფა კლასთა ბრძოლის მნიშვნელობისა დემოკრატიულის, ხალხოსნურის სოციალ პოლიტიკური წყობილების დამყარებისა და განმტკიცებისათვის, მაგრამ იმავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ მათ შორის შემაერთებელი ხიდიც არის. საზოგადოებრივი ცხოვრება ერთსა და იმავე დროს ბრძოლაც არის და ერთობაც. და ცალმხრივი ბრძოლა აუძლურებს, ანგრევს ეროვნულ სხეულს. მაშასადამე, ის სახელდებანი, ანუ ტერმინები, რომელნიც გამოსადეგი არიან კლასთა ბრძოლის აღსანიშნავად, ვერ გამოდგებიან ჩვენი მსოფლმხედველობის გამოსახატავად.

ამგვარად ჩვენ ვართ არა პროლეტართა, არა გლეხთა, არა ვაჭართა ანუ მრეწველთა, არამედ ეროვნულ-ხალხოსნური ან ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

და ჩვენს დროშას აწერია: ეროვნება, სახელმწიფო და კერძო საკუთრება თავისუფლების, თანასწორობისა და ერთობის საფუძველზე.

ვასილ წერეთელი.

---

*) იხილე დიდ მარხვის პირველ შვიდეულში, ანდრია კრიტელის საგალობელში. რ. ხ.

ბ-ნი მოსაშვილი (ქიზიყელი, პოეტი) პატეთიური მჭევრმეტყველობით ეკერძება მემამულეთა ზედმეტი მიწის უსასყიდლოდ ჩამორთმევის აზრს გლეხთათვის გადასაცემად.

იოსებ მაჭავარიანი საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლნო! ამ დიდებულ ჟამს, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ ჰორიზონტზე ამობრწყინდა რამოდენიმე სხივი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა, როდესაც საქართველომ ყველა კუთხიდან გამოგზავნა სამშობლოს სიყვარულის ალში გახვეულნი თავისი შვილნი, როდესაც ეს დიდებული კრებული შეუდგა ჩვენი ერის აწეწილ ცხოვრების მოწესრიგებას და თავისუფლების დამყარებას, ნუ თუ ეხლა ისეთი უბრალო საკითხი, როგორიც არის 80 საჟენი მიწის გამოსყიდვა, თუ მუქთად გაცემა, მიგვიყვანს უთანხმოებამდე და ჩაგვადენინებს მას, რამაც არა ერთხელ დაადვა მონობის ბორკილი თავისუფალ საქართველოს?! არა, მე მრწამს, რომ სალი გონება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა დაიმორჩილებს მაცდურ სურვილებს და ადვილად გვაპოვნინებს იმ გზას, რომელიც მიგვიყვანს თავის უფლებისაკენ.

რამ გამოიწვია დავა?

მუქთად დავარიგოთ მიწა თუ გამოვისყიდოთ?

მუქთობის პრინციპი ძველია, ვით კაცობრიობა. მან შექმნა ადამიანის გონებაში ნეტარი წარმოდგენა სამოთხეზე, სადაც არა თუ მიწა მუქთად, არამედ თვით შრომაც მუქთია დიდი ხანია ოცნებობს კაცობრიობა ციდან მუქთად მომავალ მანანაზე მუქთახორობის პრინციპი ღრმად ზის ადამიანის ბუნებაში და, ვით მატლი, ღრღნის მის კეთილ ენერგიას. ეს ადამიანის სისუსტე კარგად იცოდა ძველმა სპარსელმა მოლლა ნასრადინამ. მან მოინდომა ერთხელ ხალხის გამოცდა და დაიძახა. ხალხო, ქალაქ გარედ ფლავს მუქთად არიგებენო! ხალხი ისეთის ენერგიით გაექანა მუქთა შილაფლავისაკენ, რომ თვით მოლლაც შეცდომაში შეიყვანა: იქნება მართლა არიგებენო, იფიქრა მოლლამ, და თვით გაქუსლა ხალხთან ერთად. ასეთი ამბავი მოსვლია ზოგიერთ ჩვენს პროპაგანდისტებს, რომელნიც დასცინოდენ სოც.-ფედერალისტების „სოციალიზაციით“ შეცდარ ხალხს, მგრამ ეხლა მუქთაობისაკენ გაქანებულ ხალხს თვით გამოსდგომიან უკან: არიქა, მუქთათ მიწაო!

ბატონებო! როგორც მომხსენებელმა დაგიმტკიცათ სტატისტიკით. თვითო გლეხს ყოფილ თავად აზნაურთა ჩამორთმეულ მიწებიდან შეხვდება 80 საჟენი და ისიც დაგირავებული და გადაგირავებული. დარწმუნდით იმაშიც, რომ ბანკის ვალი უნდა გადაიხადოთ, გადაიხადოთ აგრეთვე ის კერძო ვალები, რომლითაც დატვირთულია ის მიწა. მაშასადამე, გამოსყიდვა საჭიროა. საჭიროა ამ დებულების პრინციპიალური დაცვა, რადგანაც იგი თავის თავად გამომდინარეობს კერძო საკუთრების პრინციპისაგან. ეს ერთი. მეორე ის, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მით არის მედგარი და შეურყეველი, რომ ის სდგას ყოველთვის სამართლის ნიადაგზე. ჩვენ არასოდეს გავსცემთ ისეთს თამასუქს, რომლის განაღდებაც არ შეგვეძლება, - და ცხადია, რომ დავალიანებულ მამულების მუქთად დარიგებას ჩვენ ხალხს ვერ დავპირდებით.

ჩვენ ამასთან ვიცავთ სამართლიანობას. აბა რა სამართალი იქნება, რომ იმ აზნაურს, რომელსაც მამული გაუყიდია და ამ ფულით ქალაქში სახლი უყიდნია, დავუტოვოთ ფულიც და ქალაქის მამულიც, და იმ აზნაურს, რომელსაც დიდის გაჭირვებით შეუნახავს საქართველოსთვის თავისი მიწა, მუქთათ წავართვათ მისი მამული თუ მუქთათ ჩამორთმევაზე იქმნა საქმე, მაშინ კეთილ ინებეთ და ქალაქებიდან და კაპიტალისტებიდან დაიწყეთ. ან რომელი სამართლიანობა მოითხოვს, რომ ისეთ მეურნე გლეხს, რომელსაც თავისი მუყაითობით გამოუსყიდია მიწა, არაფერი ერგოს მუქთად, და ისეთ გლეხს კი, რომელსაც აქამდის ვერ გამოუსყიდია მიწა, მუქთად ასეთ საჩუქარს აძლევთ, ბატონებო! აგერ გაისმა თავმჯდომარის ზარი... გავიდა დაწესებული დრო და მიკრძალავენ ლაპარაკს. მეძალა-უნებურად ვსწყვეტ სიტყვას, მაგრამ ერთსა გთხოვთ: ნუ შეუშლით აჩქარებით ხელს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ზრდას და ნუ დავჩრდილავთ უდგილო ქიშპობით საქართველოს თავისუფლების ამომავალ მზეს.

დილის სხდომა ივნისის 7.

თავმჯდომარეობს გ. ჟვაზავა.

ხევსურთა დელეგატების ორი წევრი მოიწვევს კონფერენციის წევრებს ერთობისა და ძმობისაკენ.

სპირიდონ კედია კითხულობს პროგრამას ეკონომიური საკითხისას, შემუშავებულს გუშინდელის კრების მიერ, სპ. ღოლის [illegible], არჩეულ კომისიისაგან. მაგრამ კრების ზოგიერთი წევრი ხელს უშლის კითხვას და ითხოვენ სიტყვის ნებას. ხანგრძლივის კამათის შემდეგ სიტყვა ეძლევა ბ-ნს მიხეილ მაჩაბელს, ზემოხსენებულ კომისიის წევრს, რომელსაც კომისიის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღია. მ. მაჩაბელი ამბობს მონაწილეობა იმიტომ არ მივიღე, რომ ჩემზე იჭვი შეიტანეს, ვითომც მე თავად აზნაურობის იდეოლოგი ვიყო მიწის საკითხში, მაშინ როდესაც 35 წელიწადია, რაც ვემსახურები მარტო გლეხობის აგრარულ ინტერესებს.

შალვა ამირაჯიბი გაკვრით იხსენებს სპ. კედიასაგან წაკითხულ იმ ადგილს მოხსენებისას, რომელიც ეხებოდა მემამულეთა მიწის საკითხის იმ წესით გადაწყვეტას, რასაც შეიმუშავებს საქართველოს ავტონომიის დამფუძნებელი კრება. შ. ამირაჯიბი ამბობს, ამ მუხლის მიღებით პარტია რჩება უპროგრამოთ აგრარულ საკითხში, რაც მეტის მეტად უხერხულია პოლიტიკურ პარტიისათვის.

შალვა ქარუმიძე. საქმე რომ საქართველოს ავტონომიის დამფუძნებელ კრებამდის არ მივიდეს და აგრარული საქმე გათავდეს მარტო რუსეთის დამფუძნებელ კრებაში, მაშინ რას ვაპირებთ, უნდა მივიდეთ ჩვენ იქ ჩვენი სააგრარო პროგრამით, თუ არა?!

გ. ტყავაძე. როცა გავიგებთ, რომ საქმეს ასეთი მსვლელობა ეძლევა, მაშინ შევიკრიბებით და საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ სააგრარო საკითხშიაც.

სპ. კედიას საშუალება ეძლევა დაასრულოს წაკითხვა შემდეგი სააგრარო რეზოლუციებისა:

1. ყველა მამულები, როგორც ბანკებში დაგირავებული, აგრეთვე ვალებისაგან სრულებით თავისუფალი, მემამულებს უნდა ჩამოართვას საქართველოს ავტონომიურმა მთავრობამ იმ წესით, რა წესსაც დაადგენს ხალხის წარმომადგენელთა დამფუძნებელი კრება, და დაურიგოს ყველა მკვიდრ უმამულო თუ მცირე მამულიან მიწის მუშას.

მემამულეებს საკუთრებად იმდენი მიწა შერჩებათ, რამდენიც დაკანონებული იქნება საქართველოს ეროვნული კრებისაგან.

2. ყველა სახაზინო და საუფლისწულო მიწები უსასყიდლოთ გადაეცემა ყველა მიწის მუშას თანახმად იმ წესებისა, რომელიც შემოღებული იქნება საქართველოს ეროვნულ კრებისაგან.

3. ტყეები, საძოვრები და ყველა ის მიწები, რომლებსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, გადავა საქართველოს ავტონომიურ მთავრობის განკარგულებაში.

ამ რეზოლუციას ერთხმად იწყნარებს კრება.

(შემდეგი იქნება)

ილია ჭყონია.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

სოფ. სიქთარუა (შორაპ. მაზ.) შეიგნო სოფელმაც, გამოფხიზლდა მუშაგლეხი 5 ივნისს ამ სოფელში გაიხსნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური კლუბი თვით ხალხის სურვილით, ვინაიდგან ამ სოფელში თითქმის არ მოიპოება ისეთი გლეხი, რომელიც რომელიმე სოციალისტურ პარტიას უთანაგრძნობდეს.

სოფელმა აირჩია კომიტეტში ექვსი კაცი: ბეს. ნეფსიწვერიძე, პროკ. კვატაია, არჩ. მემანიშვილი, მელ. რიჟამაძე, ნეკ. ყიფშიძე და მირ. კოჩიაშვილი.

კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბეს. ნეფსიწვერიძე, მდივნათ ნ. ყიფშიძე და მოლარეთ კალ. უკლება.

კომიტეტმა პარტიის ბიუროში მოაწესრიგა გაზეთების აგენტურის საქმე—ადგილობრივ ეროვნ.-დემოკრატიული პარტიის წევრებმა დაარსეს სამკითხველო, სადაც ყველა გაზეთები იქმნა გამოწერილი. გაზეთები გამოუწერეს თავისი ხარჯით: კოტე ამაშუყელმა, თათანა ამაშუყელმა, ვ. შოთაძემ, ირ. იაშვილმა, ლ. ცხადაძემ, ამბ. ვერულაშვილმა და ვ. მაჭავარიანისამ, რისთვისაც უკანასკნელთ კომიტეტი დიდ მადლობას უძღვნის.

აგრეთვე კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ სადგურ სვირში კორესპონდენციები იკარგება—გადასწყვიტა ლაიქარაოს სადგურზე მეთვალყურე ჩვენი გაზეთებისა და წერილებისათვის და ცალკე კაციც იშოვეს, რომელიც ყოველდღე მოიტანს კორესპონდენციებს სადგურიდან ბიუროში.

ხალხი დიდათ დაინტერესებულია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამით და შემდეგისათვის გადასწყვიტეს მოიწვიონ ვასილ წერეთელი პარტიის სხვა და სხვა საკითხების ასახსნელათ.

ილო.

საჭირო შენიშვნა.

საქართველოში მომქმედ საკრედიტო, შემნახველ-გამსესხებელ და მომხმარებელ საზოგადოებების ამხანაგობათა საყურადღებოთ.

დიდმა მსოფლიო ომმა და მისგან გამოწვეულმა გამოუთქმელმა სიძვირემ, სხვებთან ერთათ ქართველი ერიც იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ხსნა მხოლოთ ერთობაშია და შეერთებული ძალით იწყეს სხვადასხვა ამხანაგობების და მომხმარებელ საზოგადოებების (კოოპერაციების) დაარსება. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ, თუ ეს საარაკო სიძვირე არა, ისე ძნელი დასაჯერებელია. რომ ასეთი ჩქარი ტემპით გავრცელებულიყო ჩვენში ხსენებული ამხანაგობანი, რომლის მოწამენიც ჩვენ შევიქენით. იყო დრო, როდესაც მთელ საქართველოში ამა დაწესებულებების რიცხვი მხოლოთ 4—5 განისაზღვრებოდა, და მაშინ ამა დაწესებულებებისათვის საჭირო ბლანკების, თუ სახმარ წიგნაკების შეძენა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

იმ თავითვე ხსენებულ წიგნაკებ-ბლანკების დამზადებას ხელი მიჰყო ქ. ბათუმში მესტამბემ, ბ. გიორგი თავართქილაძემ, რომელიც დღემდის სასახელოთაც ასრულებდა ყოველ აღთქმა დაპირებებს; მაგრამ 1—2 წელიწადია, რაც ამ ბლანკების დამზადებაში იგი უძლური შეიქმნა, რაიცა უეჭველია იმასაც უნდა მიეწეროს, რომ ამ ჟამად მომქმედი ამხანაგობანი მეტად გაიზარდა და მასთან ქაღალდისა თუ სხვადასხვა საჭირო მასალების შეძენა დიდათ გაძნელდა. სწორეთ ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ საჭირო წიგნაკებს ბლანკების უქონლობისა გამო ამ ჟამად წარმოება ზემოხსენებულ ამხანაგობებში დიდათ ფერხდება.

ამ გარემოებას მე, როგორც ამა ამხანაგობათა გავრცელების ერთ-ერთმა ინიციატორთაგანმა, იმ თავითვე მივაქციე ყურადღება და ვსთხოვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობას, რომ ქუთაისის საკუთარ სტამბაში მოეწყო ზემოხსენებული წიგნაკ-ბლანკების ბეჭდვა, რითაც სტამბას ზედმეტ შემოსავლიან საქმეს გაუჩენდა და ამასთანავე ამხანაგობებს იხსნიდა უხერხულობისაგან, რასაც ისინი ამ ჟამად განიცდიან.

იმედია ხსენებული გამგეობა ახლა მაინც მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ხშირათ გვესმენია: ქუთაისის წერა-კითხვის საზოგადოების სტამბას სამუშევერი არა აქვსო და ერთხანს მის გაყიდვაზედაც კი ჩამოაგდეს ლაპარაკი; და ამასთან კი ამისთანა დიდ შემოსავლიან და მუდმივ წყაროს, როგორიც არის ხსენებული წიგნაკებ-ბლანკების ბეჭვდა, გამგეობა ხელს არ ჰკიდებს.

და თუ ქუთაისის განყოფილების გამგეობისათვის ამის განხორციელება ახლაც მოუხერხებელი იქნება, მაშინ წერა-კითხვის მთავარმა გამგეობამ მაინც უნდა თავს იდვას ეს საქმე, ვინაიდგან მას მაინც საკმაო საშუალება აქვს ამის განხორციელებისათვის.

ასე და ამგვარათ ეს გარემოება იმის თანა სიძნელეს ბადებს ახლად აღორძინებულ ჩვენს საკულტურო, თუ საეკონომიო ამხანაგობებში, რომ საქართველოში აწ არსებულმა ხსენებულ ამხანაგობების კავშირებმა რაიმე სახსარი უნდა გამოუნახონ ამ დაბრკოლებას, რათა ამხანაგობანი იხსნას არსებული უხერხულობისაგან.

კორბოულის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე მღვდელი

ვლადიმერ მაჭარაშვილი.

უკანასკნელი ამბები

ელზას ლოტარინგიის ლანდტაგი პრეზიდენტი გერმანიის ხელში დარჩენას თხულობს.

ელზას ლოტარინგიის ლანდტაგის პრეზიდენტმა ექიმმა რიკლინმა განაცხადა, რომ ელზას-ლოტარინგიის ხალხს არ სურს, რომ მის გულისთვის სისხლი იღვაროს და საზარელი ომი გაგრძელდეს. ელზას ლოტარინგიელების ლოზუნგია ისევ გერმანეთის იმპერიის ფარგლებში დარჩენა, საკუთარ ეროვნულ თავისებურობის შენარჩუნებით. გერმანელ სოც. დემ. ორგანო „ფორვერტსი“ ამბობს, რომ ექ. რიკლინის განცხადება სრულიად ელზას ლოტარინგიის ხალხის ხმაა, მისი ერთი ნაწილისა მაინც, და იგი დამყარებულია საღ საფუძველზე. რომელმაც ელზას ლოტარინგიის მომავალი შესაფერად უნდა გადასწყვიტოსო.

ომს ურუსეთოთაც განაგრძობენ.

ინგლისმა და საფრანგეთმა საერთო თათბირზე, რომელიც პარიზში მოხდა დაადგინეს ომი გამარჯვების მოპოებამდე აწარმოონ. მოკავშირენი ძველის ინტენსივობით მოქმედებენ და თან აცხადებენ, რომ ისინი საზავო მოლაპარაკებას არ დაიწყებენ, თუნდაც რუსეთმა ომს თავი დაანებოს და ცალკე ზავი ჩამოაგდოსო.

დანიშვნა.

იუსტიციის მინისტრის ამხანაგათ დაინიშნა ხარკოველი ნაფიცი ვექილი ვალცი.

ირ. წერეთლის პროექტი.

ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი ირ. წერეთელი დრ. მთავრობას სთხოვს, რათა ფოსტა-ტელეგრაფის მთავარი მმართველობა გადაკეთებულ იქმნას ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროთ.

შჩეგლოვიტოვი.

დრ. მთავრობის საგამომძიებლო კომისიამ სისხლის სამართალში მისცა ნამინისტრალი შჩეგლოვიტოვი. მას სხვა ბოროტ მოქმედებასთან ერთად ბრალდება ოდესის ბოქაულის შავრაზმელობის ხელის დაფარება და ოსმალეთის ქვეშევრდომ იშჩერის მკვლელთა განთავისუფლება.

დეკაბრისტების ნეშთი.

პეტრეპავლეს ციხის მიდამოში მოსძებნეს და დიდის ამბით—პატივისცემით გადაასვენეს 1826 წ. სიკვდილით დასჯილ 6 დეკაბრისტის გვამი. დეკაბრისტები შეიპყრეს 1895 წ. ამბოხების დროს და ნიკოლოზ პირველის განკარგულებისამებრ პეტრე-პავლეს სატუსაღოში აწამეს.

ლენინს უჩივიან.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა სოფლის საზოგადოებათაგან ურიცხვი საჩივარი მოდის, რომ სოფლათ ბოლშევიკები ლენინის სახელით ანტისახელმწიფოებრივ აგიტაციას ეწევიან და უწესოებას ახდენენ. გლეხები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ ლენინი და მისი ამხანაგები, როგორც მავნე პირები, დაუყონებლივ შეპყრობილ იქმნენ.

რუს-ფრანგთა ქარხნის დირექტორის განცხადება.

პეტროგრადში არსებული რუს ფრანგთა ქარხნების დირექტორი ვაჭრობა მრეწველობის და შრომის სამინისტროს, მუშ. და ჯარ. კაც. საბჭოს აღმ. კომიტეტს და დრ. მთავრობას აცნობებს, რომ მას მუშებმა ქარხნის შემოსავალზე მეტი შრომის ქირა მოსთხოვეს, რის გამოც იძულებულია ქარხანა დაჰკეტოს. ქარხნების დირექტორი სთხოვს დრ. მთავრობას, რომ ქარხანები ჩაიბაროს.

ლენინის ოინები.

„ბოლშევიკები“ ავრცელებენ საპროკლამაციო ფურცლებს, რომელიც გერმანულ და რუსულ ენაზეა დაწერილი. პროკლამაცია ხალხს მოუწოდებს, რაც შეიძლება საჩქაროთ ჩამოაგდოს ზავი“.

პროკლამაციის ბოლოში სწერია: „მშვიდობიანობა ქოხებს სჭირია, ომი კი სასახლეებსო“.

პროკლამაცია დაბეჭდილია ძვირფას ქაღალდზე, ლამაზ შრიფტით და აწერია. სრ. რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის სამხედრო ორგანიზაცია“. პროკლამაციამ პეტროგრადში დიდი მღელვარება გამოიწვია.

„ბოლშევიკების მოძრაობა“

პეტროგრადში ბოლშევიკების მოძრაობამ ფართე ხასიათი მიიღო. ბოლშევიკები წესრიგს არღვევენ ქუჩებში, პროკლამაციებს ყრიან ჯარების სხვადასხვა ნაწილებში და სდევნიან თავდაცვითი მილიციის წევრებს. უკანასკნელ დროს ბოლშევიკების გამოსვლამ მეტად საშიში ხასიათი მიიღო. ქალაქის მცხოვრებნი ძალზე ღელავდენ. ჯარი ორ ნაწილად იყოფებოდა, მაგრამ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრებმა ხალხი დააწყნარეს. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დადგენილებით ქუჩაში მიტინგები აიკრძალა.

მოწერილი ამბები

დ. საჩხერე. (შორაპნის მაზრა.) უკვე თვეზე მეტი [illegible], რაც ყველგან აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი და კომისარებიც დანიშნეს, მაგრამ სოფლის მოსამართლეები დღემდე არ აურჩევიათ, მიუხედავად იმისა, რომ სოფელი მათ ერთობ ჰსაჭიროებს. სოფლის ადმინისტრაციის მოქმედებას აფერხებს ის გარემოება, რომ გლეხები უარს ამბობენ მათ ჯამაგირის მიცემაზე. გლეხებს ეგონათ, რომ თავისუფლების დამყარებით გადასახადები სრულიად მოისპობოდა; ხშირად შეხვდებით გლეხს, რომელიც უიმედოთ ჩაიქნევს ხელს და ამბობს, რომ საწყალი კაცის საქმე არას დროს არ გამოსწორდებაო. დღემდე ვერ იქმნა და აღმასრულებელ კომიტეტთა და კომისარების მოქმედება ვერ შეუთანხმდა ერთმანეთს და ხშირად კომისარები გვერდს უხვევენ აღმ. კომიტეტების განკარგულებებს. ზოგი წევრი აღმ. კომიტეტებისა ჯეროვნად ვერ ეკიდება თავის მოვალეობას და სათანადო სიცოცხლეს ვერ იჩენს სხდომებზე.

საჭიროა ყურადღება მიექცეს საეჭვო პირებს, რომლებიც აღმ. კომიტეტებს სახელს უფუჭებენ და ათას ცრუ ხმებს ავრცელებენ მათ მოქმედების შესახებ.

დეზერტირების წინააღმდეგ მომქმედი კომისია მხნედ მუშაობს; თითქმის მთელი საჩხერის რაიონი დაიწმინდა დეზერტირებისაგან.

ბოლო დროს ქურდ-ბაცაცები ისევ ამოძრავდენ და აწუხებენ ისედაც გაძვალტყავებულ გლეხობას.

მოსავალს აქეთ წელს კარგი პირი უჩანს და, ვგონებ, ვაი-ვაგლახში მოთესილი და მოყვანილი ჭირნახული გლეხობას შრომას დაუჯილდოვებს; განსაკუთრებით იმედს ვენახები იძლევა, მაგრამ იმის ეშინიათ, რომ ღვინის გაყიდვის აკრძალვის გამო, ბევრს ვერას მოიგებენ კარგი მოსავლით.

შაქრო.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

ექიმები:

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სად. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

ქ. ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალის კარებთან მეშვილის სახლში
მკაშია
არჩენს თვალების სნეულებათ (თეთრ გადაკრულს უპერაციოთ)

რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.			
თფილისიდან	— დილის —	8 ს.	წ.
„	— საღამ.	8 ს. 50	„
ბათომიდან	— დილით —	12 ს. 40	„
„	— ღამის —	1 ს.	„
ფოთიდან	— დილის —	10 ს. 26	„
ტყიბულიდან	საღამოს —	6 ს. 50	„
ხაშურიდან	— დილის —	9 ს. 24	„
ქ. ქუთაისიდან გადის.			
თფილისისაკენ	— დილის	11 ს. —	„
„	ღამის —	11 ს. 34	„
ბათომისაკენ	საღამოს	7 ს. 5	„
„	— დილის —	7 ს.	„
ფოთისაკენ	— დილით —	4 ს.	„
ტყიბულისაკენ	— დილის —	8 ს. 40	„
ხაშურისაკენ	— დილით —	5 ს. 20	„

სტამბა „შრომა“ პუშკინის ქუჩა [illegible] სახლი, ქუთაისში